ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №20
2019 წლის 5 აგვისტო

დაბა ხარაგაული

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 1 ივლისის №18 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირების რეგისტრაციისა და მათი დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის საფუძველზე, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 1 ივლისის №18 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირების რეგისტრაციისა და მათი დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ვებგვერდი, 04/07/2019, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.128.016.382).

1. შეტანილ იქნეს ცვლილება დადგენილების მე-2 მუხლში და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„მუხლი 2. დამტკიცდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირების რეგისტრაციის ფორმა (განაცხადი) დანართი №2-ის შესაბამისად“.

2. შეტანილ იქნეს ცვლილება დადგენილებით დამტკიცებული №1 დანართის მე-2 მუხლში და ამოღებულ იქნეს პუნქტი №5.

3. შეტანილ იქნეს ცვლილება დადგენილებით დამტკიცებული №1 დანართის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტში და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„ლ) სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული“.

4. შეტანილ იქნეს ცვლილება დადგენილებით დამტკიცებული №1 დანართის მე-7 და მე-8 მუხლebში და ამოღებულ იქნეს პუნქტის ნუმერაციის აღმნიშვნელი ციფრი 1.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**